



დეკემბერი

DECEMBRE

# ახალი იპერია

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის  
საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

LA NOUVELLE IBERIE

ORGANE DE LA JEUNESSE NATIONALE DEMOCRATE GEORGIENNE

Redaction et Administration: Mr V. Djibladz.  
8, rue Coypel, 8 Paris (13)

N° 7

პარიზი  
1937



## დიდი ილია

1827 — 1937

ილია ჭავჭავაძე ჩვენი ერის ცხოვრებაში ძალიან დიდი მოვლენა იყო.

რუსთაველისა და ოქროს ხანის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნემდე, თვით ილიამდე, არავინ ისე სრულად და ღრმად არ ჩასწვდენია ქართველი ერის სულს, არავის ასე ზედმიწევნით სისწორით არ უგრძვნია ქართველი ერის გულის ნადები და ისე მწვავედ არ განუცდია ეროვნული სხეულის ტკივილები, როგორც ილიას!

მიუხედავად ამისა, ჩვენდა სავალალოდ, ილია დღემდე შეუსწავლელია. მას ვიცნობთ მხოლოდ ზერელედ და ზოგადად. ჩვენ არა გვაქვს ილიას სრული და ყოველმხრივი შეფასება, მისი ზღვასავით ვრცელი შემოქმედებისა და ფენომენალური, დაუღალავი საზოგადოებრივ - ეროვნული მოღვაწეობის ობიექტური, მეცნიერული ანალიზი, ამიტომ ეს ბუმბერაში ადამიანი ფართე წრეებისათვის დღესაც ვერა ჩანს მთელი თავისი ბრწყინვალე ნიჭის სიღიადითა და შემოქმედებითი უნარის ძლევამოსილებით.

ილიას შესწავლა მომავლის საქმეა, ის ელის მიუდგომელ მკვლევარის მოსიყვარულე გულსა და მცოდნე პატიოსან კალამს. ჩვენთვის, ემიგრაციაში ილიას სრული და ყოველმხრივი შეფასება მეტად ძნელია თვით პიროვნების იშვიათი სირთულის გარდა, საჭირო მასალების სიმცირის გამოც. აქ შეეხებით მხოლოდ მთავარ მომენტებს, ილიას მოღვაწეობის დამახასიათებელ ეტაპებს.

ილია ერთბაშად, ქარიშხალივით შემოიჭრა საქართველოში. მას წინაღვე ჰქონდა დამუშავებული მიზნის მისაღწევად საჭირო საკუთარი პროგრამა. სამშობლოს მოახლოებისათნავე, კავკასიონის ქედიდან — უთუოდ უკეთ რომ გადაეწვდინა მთელ საქართველოსათვის — ხმა მაღლა, ქვეყნიერების გასაგონად დასძახებს ქართველობას: — ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო! გაიღვიძეთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობა, ჩვენი დამოუკიდებლობა აღვადგინოთო! ბრძოლებში მოღლილი, მტრის მრისხანებით აწიოკებული, თავის უბედობას თითქოს შერიგებული ქართველობა იქნებ საღი ეროვნული ინსტიქტით გრძნობდა კიდეც, რომ ეს მოწოდება გამომხაურებას საჭიროებდა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმდენად იყო დაძაბუნებული, რომ მოდუნებული ეროვნული გულის ცემის გასაღვიძებლად მარტო მოწოდება არა კმაროდა. საჭირო იყო გულ-გატეხილი ხალხისათვის ხელის ჩავლება და საფუძვლიანად შეჯანჯღალება, ქართული ნიადაგის ძლიერად შერყევა, რომ ქვე-

ყანა გონს მოსულყო და უკვე დაყრილი ფარ-ხმალი კვლავ აეკრიფა. ეს კარგად ესმის ილიას. ამიტომ ასე სხარტულად, მოკლე ფორმულაში გამოსახული საქართველოს მარადიული მიზნის მისაღწევად ის მოითხოვს მოქმედებას, აკტივობას, ბრძოლას.

ილია მოქმედებაში. ბრძოლაში ხედავს ქართველი ადამიანის სიცოცხლის გამართლებას და ამით აიხსნება, რომ მყინვართან შედარებაში მღვრიესა და მღვღვარე თერგს აძლევს უპირატესობას, როგორც განსახიერებას შეუწყვეტელი მოძრაობისა და ბრძოლისა.

ილია იმასაცა გრძნობს, თუ რა კოლოსალური შრომის გაწვევაა საჭირო ქვეყნის ასამოძრავებლად და ერთი წუთით იჭვიანობს კიდევ: „შევიძლებ - კი რომ მას (სამშობლოს) დვიძლი სიტყვა უთხრა და იმ სიტყვით უნუგემოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“. მაგრამ ეს იჭვი წუთიერია. დასმულ საკითხზე თვითონვე პასუხობს და რწმენით აცხადებს — შევიძლებო! უნდა ითქვას, რომ ქართული სინამდვილე ილიას უფრო უნუგეშო და გულის მომკვლელი დახვდა, ვიდრე შეიძლება. თვითონაც ეგონა. ეროვნული იდეა თითქმის გამჭრალი იყო რუსული პოლიტიკა დღითი - დღე ახალ პოზიციებს იპყრობდა და დიდი დრო აღარ სჭირდებოდა, რომ ქართველი ერის სახელიც მოესპო. საუკუნოების განმავლობაში ერის პოლიტიკური ცხოვრების მესვეური თავადაზნაურობა, რუსეთმა პოლიტიკურად რომ გაანადგურა, ეხლა გახრწნის გზაზე შემდგარიყო; მისი ერთი ნაწილი რუსეთის მოწყალეებაზე, მისგან ჩინ - მენდლების მიღებაზე ოცნებობდა; მეორე ნაწილი, უმცირესობა, ვინც პირველი გზა უარპყო, ისიც თავისთვის ჩაკეტილიყო და საქვეყნო საქმეებზე ზრუნვა დროისათვის მიენდო. ხოლო ქვეყნის უმრავლესობა, საყრდნობი და სიმტკიცე ჩვენი ქვეყნისა — გლებობა, ბატონყმობის საზიზღროებით დაშონებული, დადატაკებული, იმდენად იყო სულიერად და ნივთიერად შევიწროებული, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლელობაზე და ეროვნულ იდეალებზე ზრუნვა მას არ შეეძლო.

ამრიგად, ილიას მოღვაწეობის დაწყების წანაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აღარ არსებობდა არც ერთი წოდება, არც ერთი საზოგადოებრივი წრე, გარდა თითო-ორიოლა ადამიანისა, ვისაც ქვეყნის ტკივილი საკუთარ ტკივილად მიაჩნდა და დამონებული ქართველი ერის აწმყოზე და მომავალზე ზრუნვას საჭიროდ სთვლიდა. ამ შემზარავი და სასტიკი სინამდვილის წინაშე, უმრავლესობისათვის გაუგებარი და ამიტომ მისგან არა თუ გამზნევებას, არამედ თანაგრძნობასაც მოკლებული ილია ქავეჭადაძე, მართლაც უნდა არაჩვეულებრივი არსება ყოფილიყო, რომ გული არ გასტე-



ხოდა და ხელი არ ჩაეჭნია, რამდენი სიყვარული ქვეყნისადმი, რამდენი უანგარო გულწრფელი გრძნობა და იდეალიზმი, როგორი ნებისყოფა და ენერჯია უნდა ჰქონოდა მას, რომ ასეთ პირობებში საქართველოს ბედის ქედვა მარტოდ-მარტოს დაეწყო და მომავლისათვის, უკეთესი დროისათვის არ გადაედო!

ილიამ საქართველოში რომ მიიხედ-მოიხედა გამამხნეველები და სანუგეშო ვერაფერი ნახა. კიდევ მეტი. — ის ველარ პოულობს ქართველებსაც და დამწუხრებელი მოსთქვამს: „... სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო ვართ და სადმე? ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, ჩინიანი და უჩინონი, ყველანი არიან და ქართველი-კი არსად არის!“... ილია ვერავისა პოულობს, რომ გვერდში ამოიყენოს და ზურგზე აკიდებული ტვირთის სიმძიმე შეიმსუბუქოს: „მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის; ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ჩემი, გრძნობა ჩემი განუუზიარო“... მთელი სირთულე და სიძნელეც სწორედ იმაში იყო. რომ ყოველივეს თავიდან დაწყება სჭირდებოდა და ყველაფრის გამკეთებელი, ყველაფრის დამწყები ილია უნდა ყოფილიყო. ხალხს გაღვიძება სჭიროდა, მერმე მომზადება და აი, მერე იქნებ გაეგოთ ილიას გულის ნადები. ილიას ჯერ უნდა საძირკვლის ჩაყრით დაეწყო, პირველი აგური დაედო. თვით შენობის აგების საკითხს ამ საფუძვლის სიმტკიცის ხარისხი გამოარკვევდა. ილიას გაგებით ეს საძირკველი იმ ვარაუდით უნდა ჩაყრილიყო, რომ მომავალში, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნებოდა“, მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს სახელმწიფო შენობას უნდა უშიშრად მასზე დაყრდნობა შესძლებოდა. ილია ითვალისწინებს ამ შენობის შესაძლებელ სიმძიმესა და აღნაგობასაც და ამის მიხედვით საჭირო მასალას არჩევს. მისი მიზანია უზრუნველჰყოს ამ შენობის გამძლეობა მომავლისათვის. ამ მასალის ძებნაში ილიას არჩევანი მთელ ქართველ ერზე, ქართველ ხალხზე შეჩერდა. საქართველოს სახელმწიფოებრივობის საფუძველი ქართველი ხალხი უნდა გამხდარიყო.

ილიამ იცის, რომ თავისუფლების მოპოვება არ არის საკმარისი. მას უნდა უტყუარი გარანტია, სრული რწმენა, რომ თავისუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას შევიძლებთ. ამისათვის — კი მთელი ერის, მთელი ხალხის მომზადებაა საჭირო. თუ მთელი ქვეყანა შეგნებულად, ერთი კაცივით სამშობლოს თავისუფლების სადარაჯოზე გამოვა, — ეს იქნება გარანტია საქართველოს არსებობისა. და სწორედ ამ შეგნების, ქვეყნის მომავლის უზრუნველსაყო-



ფად საქირო გარანტიისა და ძალის შესაქმნელად ილია იწყებს ქართველი ხალხის კულტურულ - ბოლიტიკურ აღზრდას. რუსეთიდან ჩამოსვლისათანავე მის მიერ დაარსებულ გაზეთ „საქართველოს მოამბე“-ში ილია ასე გვიხსნის თავის მიზანს: „მოამბის დანიშნულებაა, გააადვილოს მეცნიერებისა და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის და განავრცელოს საქირო სწავლა ხალხშია ... „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება „ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“...

თანახმად ამ დაპირებისა ილია გოლიათივით იჭრება ჩვენი ცხოვრების შუა გულში და იშლება ათასფეროვანი, განსაკვიფრებელი საქმიანობა. აქ ილია იყო პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, რედაქტორი, კრიტიკოსი, მთარგმნელი და დირექტორიც. მთელი ნახევარი საუკუნე ჩვენი ერის ცხოვრებაში არ აღძრულა არც ერთი საკითხი, რომლის გადაჭრაც ილიას გარეშე მომხდარიყო. მის ყურადღებას არაფერი ეპარება. ილია მთელი ერის საარსებო ძარღვებს დაეუფლა და როგორც ბ-ნი სპ კედია შენიშნავს: „საქართველო მასში თანდათან შედის და თავსდება“! ილიას მადლიანი კალამი ყველა საკითხზე ინვიათი სიმარტივეთა და სიცხადით უტყუარ პასუხს იძლევა. მაგრამ რა საქმეშიაც არ უნდა გარეუღლიყო, რა საკითხზედაც არ ეწერა, მისი ყოველი ნაბიჯი ისე იყო მოზომილი, რომ მთავარი მიზანი მუდამ თვალწინა ჰქონოდა. ილია სხვებსაც ურჩევდა. ყველაფერი ისე ვაკეთებუდიყო, რომ ქართველი ერის ვინაობის დაცვას დახმარებოდა: ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველს მოსალოდნელ ფათერაქისაგან“. პირველ რიგში ილია ამ საკითხს აყენებს. მისთვის მთავარია ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ხოლო ამის მისაღწევად მთელი ერის, მთელი ხალხის ამოძრავება და ეროვნულ საქმიანობაში ჩაბმა. ეს იყო უდიდესი ეროვნული იდეის — საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის — მიწაზე ჩამოტანა, რეალურ ნიადაგზე დაყრდნობა და პრაქტიკული, თვითმოქმედების გზით მისაღწევ მოვლენად გადაქცევა

იწყება პრაქტიკული მოღვაწეობა, თვითმოქმედება ხალხის ასამოძრავებლად. ხალხში განათლების შესატანად და საერთოდ გონებრივი დონის ასამაღლებლად. რომ აქაც საქმეს პირველი ანბანიდან სჭირდებოდა დაწყება, ამას მოწმობს შემდეგი მაგალითი: „ჩვენ დიდის სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ ჩვენს ქალაქში თანდათან ვრცელდება წიგნის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებას ყველაზე უფრო ის გვიმტკიცებს, რომ ძლიერ დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისში არც ერთი წიგნის მაღაზია არ იყო, ეხლა ერთის მაგიერ სამი

გვაქვს“-ო, სწერდა გახარებული ილია „საქართველოს მოამბე“-ში, 1863 წელს. თუ ასეთი იყო მდგომარეობა უკვე 63 წ. და ისიც ჩვენს დედა ქალაქში, ადვილად წარმოსადგენია, რა წყველიადი უნდა ყოფილიყო პროვინციებში. მაგრამ ილია ღვთით მოვლენილი ერის მეთაური არ იქნებოდა, საქმის სიძნელეს რომ შეშინებოდა. ისი სასწაულთმოქმედი ვთნებისათვის არ არსებობს დაუძლეველი დაბრკოლება. შედარებით მოკლე დროში ამ დარგშიაც რადიკალური ცვლილება ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დეაწლი მიუძღვის ილიას მეთაურობით მოქმედ წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ეს დაწესებულება არა კმაყოფილებამარტო წერა - კითხვის გავრცელებით და დიდი ხნის მანძილზე ის იყო ერთად ერთი ინიციატორი და აღმასრულებელი ყველა კულტურული და ეროვნული საქმისა. ასე მაგ.: ნიკ. ბარათაშვილის ნეშთის საქართველოში გადმოსვენებაც-კი ამ საზოგადოების მოწყობილია. ილია სულ ბოლო დრომდე დარჩა ამ საზოგადოების თავჯდომარედ და სიკვდილის შემდეგ, ანდერძით მასვე დაუტოვა მთელი თავისი ქონება.

ილია მბურვალე მონაწილეობას იღებს ქართული თეატრის ჩამოყალიბებაშიც. სწერს რეცენზიებს, სცენის მოყვარეთ დარიგებას აძლევს და ახალისებს. მასვე დაუწერია და წარმოდგენილიც ყოფილა ერთი პიესა (ეს ნაწარმოები დაკარგულად ითვლებოდა და გასულ წელს სადღაც აღმოუჩენია პოეტ გრიწაშვილს). გარდა თეატრისა, ის ენერგიულად მუშაობს სკოლების გავრცელებაზე. აქტიურად მონაწილეობს ტფილისის გიმნაზიისა და მის მიერვე გახსნილ წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის კომიტეტის მუშაობაში. „თუ ჩვენი ზალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლა შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივცეთ“-ო. რა იმედებს ამყარებდა ილია სწავლა - განათლების გავრცელებაზე, რას მოელოდა ამ საქმიდან? --- „გავრცელებდა სწავლა - განათლება საშუალო ენაზე და ამით მივიცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაქიროესი ნიდაგი, ურომლისოდ საგვარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია“. (ხაზი ჩვენია). არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ მანინდელი რევიმის პირობებში — ეროვნული და დამოუკიდებელი — ამ გამოთქმის ხმარება შეუძლებელი იყო და ილიას მისი შესატყვისი გამოთქმა შეურჩევია. მაგრამ ილია ხედავს, რომ განათლების მიღება ღარიბებისათვის, ე. ი. გლეხობისათვის ძნელია. მათი მატერიალური სიფიწროვის გამო. ამიტომ მთავრობისაგან მოითხოვს ამ წოდებას დახმარება გაეწიოს, გზა გაეხსნას და გაუადვილდეს საშუალო სასწავლებელში მიღება: — „საშუალო სასწავლებლები მარტო შემძლებელთათვის არის მისაღწევი, ე. ი. თავად-აზნაურობისათვის და მოქალაქობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს აქამომდე მარტო წოდებათა განათლებაზე მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა

„დანარჩენი ფრიად დიდძალი ხალხი-კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტ ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდან გამოკლებული იყო“. და როცა ზოგან თვით ხალხის თაოსნობით იხსნება სკოლები, აღია განარებული ამბობს: — „ამაში ვხედავთ ბევრს სანუგეშოს“—ო.

ილია თავგამოდებით იცავს სასწავლებლებს ქალებისთვის, რადგან — „საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა „გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედა-„კაცი და თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია“—ო. მას იმედი აქვს, რომ საქალებო სკოლა თავის დანიშნულებას გაამართლებს და გადაჭრით მოითხოვს: — „მოგვეცი თ სასწავლებელი ქართველის ქალისა, ქართველის დედისა, ქართველის ოჯახის დედაკაცისა“—ო.

ამას გარდა ილია 1877 წლიდან კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვის-პრეზიდენტი და როგორც თვითონვე აღნიშნავს, „იღებდა მონაწილეობას თითქმის ყოველ კომისიაში, რომელიც არკვევდა ჩვენი შეურნეობისა და სხვა საჭიროებათა სავნებას“. ამრიგად, ილია ერთბაშად ეხლება ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგს, რომ ყველაფერი ახალ ყაიდაზე, ახალ პირობებზე გადაარგოს. ილია საქართველოში ახალი დროში შემოდის, ევროპული პროგრესიული იდეებით. მისი გამოსვლა ახალი საუკუნის, ახალი ეპოქის გამოძახილია: ის ილაშქრებს ბატონყმობის წინააღმდეგ და იმ სოციალურ ბოროტებას შრომის პრინციპს, დემოკრატიზმს, პიროვნების თავისუფლებას უპირისპირებს. ილია ამზადებს ახალი საქართველოს საყრდნობს, მთავარ საფუძველს, მას უნდა ყოველი ქართველი ადამიანის შემოქმედებითი ძალის გამოიმუხურება, გამოყენება ეროვნული ღირებულება-განვითარებისათვის, ხოლო არსებული წყობილება ხელს უშლიდა საზოგადოებრივი ცხოვრების გაშლას და ილიას გამოთქმით „საქართველოს დიდ უმრავლესობას, ქეშმარიტ ღონეს ჩვენი ქვეყნისას“ საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზიდან რიცხავდა. რაღაი ძველ წყობილებასაც დამცველები აღმოუჩნდნენ, ტრადიციული ყოფის დამცველ კონსერვატორებსა და რევოლუციონერ-რეფორმატორების შეტაკება აუცილებელი იყო. პირველი იერიში თვით ილიამ მიიტანა. ბრძოლა იწყება სამწერლო ქართული ენის შესახებ. ილია ითხოვს ქართული ენის გაწმენდას, გამარტივებას, ზედმეტი სიტყვების ამოყრას და დრომოჭმული ფორმების და ზერხების მწერლობიდან განდევნას. სასულიერო-საეკლესიო ენით წერის მაგიერად უბრალო ხალხისათვის ვასაგები, ხალხური ენით წერას. „ენის „კანონებს თვით ენა იმუნავებს თავის განვითარებაში“ და თვით „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“—ო. ძველი თაობის ციტადელად ქურნალი „ცისკარი“ გადაიქცა და ილიამაც მას დაუმიზნა. „ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“—ო, ამბობს ილია და ეარნალის ირგვლივ შეკრებილთ, დაცინეთ, გესლიანად გასძახის: „ყვავებო ფარშავანგის ფრთებიო, ბულბულ-„ლებო ყორანის ჩნავილიოა“—ო.

„ლიტერატურა ხალხის ქეჟა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარმომა-

„დგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია“ ამ უამად. ნუ თუ მართლა, რაც „ცისკარ“-ში იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჰქუაა, გონებაა, ჩვეულება? ნუ თუ მართლა „ცისკარ“-ში ჩვენი ვახვი-თარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუ თუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე გრძნობს? მეც პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს, რადგან იგინი თავისი ბლაჯნითა ამდამ-ლებენ ჩვენს ენასა“-ო და ბოლოს მიმართავს „ცისკარ“-ს, „რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც გარეთ ლიტერატურაში ნუ მოგვავს — ამას ვთხოვ ხალხის სახელითა, ხალხის სახელის დაცვი-სათვის“-ო! და თითქოს მოწინააღმდეგისათვის მავალითის საჩვენებლად, ილია თვითონვე იძლევა ამ ხალხური, დაბალი ხალხისათვის გასაგები ენის ნიმუშებს. სწორედ ამ პერიოდში ჰქმნის ის თავისი სოციალური მინარსის მხატვრული შედეგების უმრავლესობას და თავის ნაბიჯს ასეთ პოლიტიკურ გამართლებას აძლევს: „ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარი, იმათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნება. ჩვენ რუსულ ინსტიტუტებში გამოზრდილ, თუ სხვა ამ გვარ ნასწავლ ქალედისათვის? ესენიც სულ მთლად დაკარგულები არიან ჩვენთვის და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ესენი თავიანთ შეი-ლებსაც გადაგვარების გზაზე დააყენებენ. ამათთვის ვწეროთ? ამა რას გავაგებინებთ იმათ, ვისაც ისიც-კი დაჰვიწყებია, თუ რასა ჰქვია პანტა. ვანა სავალალო და სამწუხარო არ არის, რომ ქართველი ადამიანი ქართულ სოფელში მიდიოდეს და კითხულობდეს: *qu'est que ce la panta* იქნებ ჩვენი ინტელიგენციისათვის უნდა ვწეროთ? ამათაც რუსული გაზეთების კითხვა უფრო ენერჯებათ, ვიდრე ქართულისა. ამათთვის წერა ყრუთათვის ზარების რეკვას მიემსავსებოდა. მაშ ვინდა დაგვრჩა? ის, ვინც საქართველოს პირ-ველი ჰვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქართველს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი, მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარ-ცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მშრომელი ხალხი, რომელიც თავის მარჯვენით თავ-საც ინახავს და ქვეყანასაც საკვებს აძლევს. ესენი არიან ჩვენი მუხის საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებ წვესს, რომლითაც საზრდა და ღონეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი. დეე, კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცივდეს, ყვავი-ლები შემოაქვდეს — არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოეღიოთ ფესვებს: ხე ხელაზლად შეიმოსება ფოთლით და ყვა-ვილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არა კვდება, თუ ფესვები მაგარი და ღონიერი აქვს. აი სწორედ ეს ფესვებია ჩვენი მდაბიო ხალხი, ჩვენი გლეხობა. თუ ეს ფესვები მაგრად გვექნება შენახუ-ლი, კარგად მოვლილი, მაშინ ჩვენ საქართველოს განსაცდელი არ მოელის, კვლავ გამხნევდება და გაძლიერდება. დეე ჩვენი წარჩი-

„ნებულნი განადგურდენ, როგორც გამხმარი კენწეროები, ამით ად-  
 „გელას სხვა უფრო ღონიერი და ჯანსაღი ყლორტები ამოვლენ! აი  
 „სწორედ ამ ფსევებს უნდა მოუტრათ ჩვენც. ამ მდაბიო ხალხისათ-  
 „ვის, მუშა - გლეხობისათვის უსდა ეიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს  
 „ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ  
 „ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს  
 „მოხვდება. აი გეგმა ჩვენი მუწაობისა. აი ვისთვის უნდა ვფიქრობ-  
 „დეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთ“-ო.

აქ დიდი სიცხადით არის ჩამოყალიბებული ილიას მსოფლმხედ-  
 ველობა, მისი პოლიტიკური პროგრამა. და ეს პოლიტიკური პროგ-  
 რამა ახალი სიტყვა იყო საქართველოს ისტორიაში. ეს იყო სრული  
 შეზრუნება ქართული ეროვნული პოლიტიკის საქისა. პირველი შე-  
 მთხვევა იყო, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე, ეროვნული პოლიტი-  
 კის საფუძვლად და მის მეთაურად ერის უმრავლესობა ე. ი. გლე-  
 ხობა ისახებოდა. — „მას ნუღარ ესტირით, რაც დამარხულია; რაც  
 „უწყალის დროთ ხელით ჩანთქმულია; ჩვენ უნდა ვსილოთ; ესლა  
 „სხვა ვარსკვლავს; ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. და ამ მო-  
 მავლის გარანტიად მას გლეხობა გამოჰყავს. მართალია, ილია კლ-  
 სებად არ ანაწილებდა საქართველოს და მისთვის სრულიად უცხოა სა-  
 ზოგადოების დახარისხება, მაგრამ გლეხობისადმი განსაკუთრებული  
 ყურადღება და სიყვარულიც მთელ მის ნაწერებში და პრაქ-  
 ტიკულ მოღვაწეობაში აშკარად მოსჩანს. საქართველოში ჩამოსე-  
 ლისათანავე ცდილობს იგი ჟურნალ-გაზეთებში მივიღულ-მოკიბუ-  
 ლად მაინც შეეხოს მდაბიო ხალხის ქირ-ვარამს, მაგრამ რუსეთის  
 ერთგული ჯანდრები ძირშივე სწვაგდენ თავისუფალი აზრის ყო-  
 ველგვარ ჩანასახს. იმ პირობებში ილიას რჩებოდა მარტო მხატვრუ-  
 ლი სიტყვა და ისიც ფრთებ-შეკვეცილი. ესეც დიდი ნუგეში იყო.  
 მით უფრო ისეთი პოეტური აღმაფრენის ადამიანისათვის, როგო-  
 რიც იყო ილია. მართლაც, მან ააქლერა თავისი ხელთუქმნელი ჩან-  
 გი და საქართველოს კიდით-კიდემდე გადასწვდა. ილიამ ქართული  
 გულის საიდუმლოს მიაგნო და მშობელი ერის გულსინდები ამო-  
 ეკითხა. ამით აიხსნება, რომ საქართველოს ყოველ კუთხეში, სულ  
 მიყრუებულ სოფლებშიაც ილიას ლექსებს გეტყვიან და საკრავებ-  
 ზე ამღერებენ.

ილიას პოეზიას ორი მთავარი მომენტი ამოძრავებს; მას ორნა-  
 ირი სიყვარული უნათებს ცხოვრების გზას: პირველია: დაუსრულე-  
 ბელი, უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი და განუზომელი თა-  
 ვიანის ცემა ქართველი ერისა — „მას აქეთ, რაკ უნდაში ციან მე  
 „სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!“ და ამ  
 მხურვალე სიყვარულის შედეგად ყოველგვარი მსხვერპლის გაღება-  
 ზე მზად ყოფნა: — „მას დედის ძუძუ ტკბილი, შერგებია შხამადაც  
 „მამულისათვის სიკვდილი ვისაც დაჰზარებია!“ ილიას შემოქმედე-  
 ბაში სამშობლო, საქართველო მთავარი ღერძი და ძირითადი გამო-  
 სავალი წერტილია. მან შეჰქმნა სამშობლოს ნამდვილი კულტი და  
 ყველაფერი ამ უკანასკნელს დაუმორჩილა. მაგრამ ილიას აზრით,  
 ეროვნული არსებობა და კულტურულ - სახელმწიფოებრივი აღორ-

ძინება შეუძლებელია გარეშე ხალხის აღორძინებისა. აქედან ილიას პოეზიის მეორე მამოძრავებელი მომენტი: „საზოგადოება, ხალხი, ადამიანი. ის თავდადებული მოამაგე და დაუღალავი დამცველია პიროვნებისა, ადამიანისა და მის პოეზიაში „ხალხი“ და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა უმთავრეს ადგილს იკავებს. ამ რიგად, ილიას პოეზიის საგანია: სამშობლო და ქართველი ხალხი.

აღსანიშნავია, რომ ილიას პოეზიას ახასიათებს დიდი ოპტიმიზმი. ის სრული რწმენით შეპყრუებს მომავალს. ვის არ ახსოვს მისი მშვენიერი „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“ და სხვა. ილიას ასეთი ოპტიმიზმი მართო საქართველოს წინაურ ვითარებას არ ეყრდნობოდა. ის ძალიან კარგად ერკვევა მაშინდელ საერთაშორისო მდგომარეობაში და ამის მიხედვით იშვიათი წინდახედულობით ითვალისწინებს მოსალოდნელ მოვლენებს. ასე მაგალითად — ბერლინის ხელშეკრულების გამო ილია სწერდა: „ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულებით წერილი შემოერღვა, როგორც პაქიჭს, და რაკი წერილი შემოერღვა, ბოლომდინ რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო, იტყვის მკითხველი. ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერ-კავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიაც ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ გამოიკვანდა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით, ესლა აღმოსავლეთის საქმემ, აქამომდე სლავიანებზედ გაჩერებულმა, აქეთ, აზიაში ვადმოიწია და რუსეთი და ინგლისი — ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის — აქ. აზიაში დაეჯახებინან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება ეს კვანძი, ხმლით გაპკვეთენ თუ საცივილიზაციო ღონისძიებითა, ამისი ვადაწყვეტილად თქმა ძნელია წინათვე“—ო... ამნაირად, საერთაშორისო მოვლენათა განვითარების შესწავლა და დაკვირვება ილიას მომავლის იმედს უქმნიდა. მაგრამ მხატვრული ლიტერატურა, კაზმული სიტყვა ილიასათვის ერთ-ერთი საშუალებაა, ხერხია თავისი იდეების საქადაგებლად. ის დიდ იმედებს ამყარებს ამ საშუალებაზე და თურმე ხშირად ამბობდა: „ხმალი იმდენს ვერას იქს — მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი, კალმის პატარა წვერიო“. და რომ ეს იმედი მას გაუმართლდა, დღეს სადაო აღარ არის. ილიას „კალმის პატარა წვერმა“ „ქართლის ცხოვრება“ შეატრიალა და ორ მატერიკს ზორის ხიდათ გადებული ქვეყანა, მთელ საუკუნეების მანძილზე აზიისაკენ რომ იყურებოდა, საბოლოოდ ევროპისაკენ ბრუნდება. ამავე კალამმა შეჰქმნა ეროვნული დოკტრინა და უზრუნველ ჰყო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მაგრამ ილიას კალამი ეხება ისეთ საკითხებსაც, რომლებიც საქართველოს, ჩვენს ცხოვრების ფარგლებს სცილდებიან და უნივერსალური ხასიათისა არიან. ილია პირველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც აყენებს „შრომისა“ და „შრომის სუფევის“ საკითხს, თავის შესანიშნავ პოემა „აზრდილ“-ში.

ილია სიკვდილამდე დარჩა თავისი იდეების ერთგული, მთელი ერის, მთელი ხალხის მებრძოლი დროშის მატარებელი, მაგრამ თავის მოღვაწეობის მეორე ნახევარში, ის აშკარად ხედავდა, რომ ბრძოლის მოსაგებად მარტო ხალხის ამოძრავება არ იყო საკმარისი. საქართველოს ის დრო აღარ ედგა, როცა ერთის დარტყმით, ცხელი შეტაკებით ქვეყნის ბედი სწყდებოდა. საჭირო იყო ხანგრძლივი და მეთოდური ბრძოლის წარმოება — ეს კი მოითხოვდა მებრძოლებს ეკონომიურ-ფინანსური საფუძველი მაგარი ჰქონოდათ. უფულოდ ომის მოგება შეუძლებელია. მშვიერსა და მწყურვალს, როგორი მაღალი იდეაც არ უნდა ამოძრავებდეს, ხანგრძლივი ბრძოლა არ შეუძლია. ეს უბრალო ქეშმარიტება შეუძლებელია ილიას ყურადღებას გამოაპარვოდა. ილიას პათეტიური მოწოდებებითა და გონიერი, ფრთხილი მუშაობით გამოღვიძებულ, პოლიტიკურად ამოძრავებულ ხალხს მიზნის მისაღწევად მატერიალური საღსარი სჭირდებოდა. — „მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც. რომ სულს, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ და მხარ უნდა მისდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაც; რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია ან მეორე ... ვერას გახდება ... თუ თავის წარმატების საყვეარში ეს ორი უღლადი, ყოველთა შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუსყრელად ...“

თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარი ილიამ სწორედ ამ საკითხის მოგვარებას მოანდომა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ქართული ნაციონალიზმი

სულ-გრძელმა ქართულმა ნაციონალიზმმა, რუსული რევოლუციით თავზე მოახვეული მარქსისტული მმართველობა მიიღო. კოტე აფხაზშაპას ეროვნული დოვლათი გადასცა და სთხოვა — თუ არა მინისტრები, მინისტრის აშანაგები მაინც ცოლნის მხრივ შეარჩიეთ და არა პარტიულობითო. სამშობლოს ერთგული შეილისათვის ეს ერთგვარი გარანტია იყო, რომ ქვეყნის უზენაესი ინტერესები დაცული იქნებოდა.

მაგრამ რევოლუციის ბატონები მსოფლიო კეთილმოწყობაზე ზრუნვით იყვნენ გართული და საქართველოს ბედი — ეს წვეთი ზღვაში — არ აინტერესებდათ. 1921 წ. თებერვალში ამ განწყობილების ლოდიკური შედეგია. საქართველო კვლავ რუსეთის ფარგლებში მოექცა; ქართული სიტყვა და აზრი კვლავ დაიხუნდა და კვლავ დაგვიბრუნდა ის დრო, როდესაც „ქვეყნის ორგულებს პატივის სცემდნენ და ერთგულებს კი ცრემლი სდიოდათ“.

საფიქრებელი იყო, რომ უცხოეთში განიზნულ ყოფილ შიკს-

რობას ეს გარემოება გონს მოიყვანდა და **ეროვნულს** კალაპაჩაგდებდა. მაგრამ მან აქაც თავი ვერ დაახწია — ძალა გავლენისა და უფლება მოსილ წრეებში — ფას-დაკარგულ და სახელ-გატყხილ მეორე ინტერნაციონალის გავლენას და ქართული საკითხი მის ქანდარებს არ გააშორა. ამ რიგად, ნაცვლად ერის ბელადობისა, იგი მეორე ინტერნაციონალის აგენტად დარჩა და მის ჩარჩოებში ჩაიღრჩო თავი. ამან აიძულა ეროვნული ემიგრაცია თავის ოფიციალურ წარმომადგენლობისაგან გამიჯნულიყო.

მეორეს მხრივ, ვერც ეროვნულმა ემიგრაციამ დაიცვა მთლიანობა. უჩვეულო პირობებში მყოფ ყოველმა ქართველმა ქვეყნის მხსნელად თავისი თავი წარმოიდგინა; ქვეყნის განთავისუფლების საკუთარი გეგმა შეიმუშავა და ქართული ისტორიაც საკუთარის არსებობით დაიწყო. ამ ნიადაგზე გაჩნდა ჯოგი ქართული ჯგუფების და გამოცემებისა. დღეს არ არსებობს არც ერთი ფორმა მმართველობისა, რომელსაც ქართული პრესა არა ჰქონდეს და ამის გამო მეორეს თავზე კაკალს არ ამტკრევედეს.

დასაწყისში პოლიტიკური პარტიები განცალკევდნენ და ერთი მეორეს ბრძოლა გამოუცხადეს; შემდეგ ეს პარტიებიც პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყო და ეგოისტურ მიზნების ტყვე-ქმნილმა ქართველობამ ჯგუფურ ინტერესებს დაუმორჩილა და ამ ბრძოლაში დაფერფლა სამშობლოს განმათავისუფლებელი იდეა. დღეს გაპარტახებულ ემიგრაციის მრავალ გამოცემათა და დაჯგუფებათა რიგში არ მოიპოვება არც ერთი ჯგუფი, რომელმაც ეროვნული ვალ მოხდილობა დაიკვეთოს და სინიღისის წინაშე დარცხენილად არ იგარძნოს თავი.

ქართული ემიგრაციის დაშლა-დანაწილებამ თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამიერიდან იგი, როგორც პოლიტიკური ერთეული ან უნდა მოისპოს, ან თავის რეორგანიზაციას შეუდგეს. თუ რომელს აირჩევს, ეს დამოკიდებულია მის ეროვნულს შეგნებასა და ნებისყოფაზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ ორივე ფრთამ ქართული ემიგრაციისამ — როგორც სოციალისტურმა, ისე ხაკიონალისტურმაც, დაივიწყა თავისი ნამდვილი მოვალეობა და მის მიერ ამორჩეულ მმართველო ფორმის ვარგისიანობის მტკიცებას ანდომებს მთელ თავის ენერგიას ნიქს, ცოდნასა და გამოცდილებას. არსებითად კი ყველა ეს ამოჩემებულ რეჟიმთა ვარგისიანობის მტკიცება, არის შირმა, რომლის იქითაც იმალება ადამიანის დამამდაბლებელი ამბიკია: თუ საქმემ ვისი სახელი ატაროს და ქართული ისტორია რომლის არსებობით დაიწყოს. თუ არა ეს მდებალნი მოსაზრება, სხვა რით უნდა აიხსნას ერო-

ენულ დაჯგუფებათა ის შური და მტრობა, რომელსაც ადგილი აქვს, და რომელნიც არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ ერთი მეორე დაამცირონ და სახელი გაუტეხონ და რათა ეს დამამდაბლებელი განზრახვა დაიმალოს, ატეხილმა ნაციონალისტებმა თავის ატეხილობას რეჟიმის სარჩული გამოაკერეს და მის პრიმატობისათვის ბრძოლა სადღეისო საკითხად გადააქციეს. ამ ნიადაგზე მოხდა ეროვნული ემიგრაციის კლასიფიკაცია და ვისაც რეჟიმის ახალი ფორმა არ ერგო, იგი ყველას დაუპირდაპირდა, ყველა ფორმა მმართველობისა დაიწუნა, ხოლო საკუთარი ვერაფერი მოგვეცა, რადგან ყველა შესაძლებელ რეჟიმს თავისი ქართველი პატრონი უკვე ჰყავს.

ამ გვარად გვაქვს ყველა ფორმა მმართველობისა, მაგრამ არა გვაქვს სამმართველო, არა გვაქვს სახელმწიფო. დაპურობილია საქართველო და ყველას ავიწყდება, რომ ჩვენი ზრუნვისა და ფიქრის უახლოესი საგანი მისი განთავისუფლება უნდა იყოს. ამისათვის კი საჭიროა ქართულ ეროვნულ ძალთა საყოველთაო მობილიზაცია. თავმოყრა ერთს ორგანიზაციაში, ერთის ხელმძღვანელობის ქვეშ, განურჩევლად პოლიტიკურის ნიუანსებისა და რეჟიმისადმი ტრფიანისა.

ქართული ნაციონალიზმი თავისი განსაკუთრებული პირობების გამო უნდა იტევდეს ყოველ ფორმას მმართველობისას და ამ ნიადაგზე არავითარ განხეთქილებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხოლო ქართველ ნაციონალისტებს არ უნდა დაავიწყდეთ ბრძნული თქმა, რომ „ხინა ზოგი ავადმყოფობისათვის თუ წამალია, ზოგისათვის საწამლაია“ და რაც უნდა ზედ მისწრება წამალი იყოს გერმანული ან იტალიური ავადმყოფობისათვის იქ გაბატონებული რეჟიმი — რომელთა დიდ ბუნებოვან მეთაურობასაც ჩვენი პატივისცემაც მიეძღვის — ვერაფერ დაამტკიცებს, რომ ქართულ ავადმყოფობას სწორედ ეგ განკურნავს, რომ სწორედ იქ აღიარებული რეჟიმი მოგვეცემს და განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ასევე ფოქმის შებრუნებითაც. მაგრამ ეს მომავლის საქმეა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ყოველგვარი უთანხმოება ქართულ ნაციონალიზმს აზარალებს, ჩვენს განმათავისუფლებელ ბრძოლას აფერხებს. ამიტომ, ვიმეორებთ, საჭიროა ქართულმა ნაციონალიზმმა დიტიოს ყოველი ფორმა მმართველობისა, რომელსაც მას დრო და გარემოება მოუტანს.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი პოზიცია. დღეს ქართული ნაციონალიზმის მთლიანობა, გაერთიანებული ძალებით მტერთან ბრძოლა და მომავალში ჩვენი თავისუფლების დაცვა და განმტკი-

ცემა მმართველობის იმ ფორმით, რომელსაც შექმნილი გარემოება მოგვიტანს.

ვის შეუძლია დაბეჯითებით სთქვას, რომ განთავისუფლებული საქართველოს ეროვნული ინტერესები მისი მმართველობის ტოტალიტარულ ფორმის საჭიროებას არ წარმოგვიდგენს; ასევე ვერავინ დაამტკიცებს, მომავალი საქართველოსათვის დემოკრატიული მმართველობის უვარგისობას და კიდევ მეტი; თუ კავკასიის ხალხებს სიცოცხლე სწყურია და თუ მათ შესძლეს თავის ეროვნულ უზენაესობის ინტერესებს ქვენა ზრახვები დაუმორჩილონ, ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს იმპერატორიც არ დასჭირდება. რომელიმე მათგანის წინდაწინ ამორჩევა და დანარჩენ შესაძლებლობათა გარიცხვა, ჩვენი აზროვნების ვიწროდ შემოფარგვლა იქნება, ჩვენი ნაციონალიზმის სისუსტე და სიბეცე.

მრავალ საუკუნოვან ქართულ ნაციონალიზმს საკუთარი ისტორია აქვს, რომლის მანძილზე მას არა ერთხელ შეუტყველია ფორმა — გარემოების მიხედვით. მისი ძალაც სწორედ ამ მოქნილობაშია. ამ ფორმათა შეცვლის შესაძლებლობა მომავლისათვისაც უნდა დაუშვათ.

ივერიელი

19.16.1927

### ოცი წლის თავზე

თებერვლის რევოლუციის მეთაურებმა ვერ შესძლეს ახალი სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძვლებზე აეგოთ. მათ არ აღმოაჩნდათ სახელმწიფოს ორგანიზაციისა და მასის სულის შეგნების უნარი. ამ მხრივ ოსტატი და ხელოვანი ლენინი გამოდგა, რომელიც კარგად იცნობდა რუსის ხალხის ფსიქოლოგიას. ფრონტიდან დაბრუნებულს კი აშენებულის ნგრევისა და დაგროვილის ძარცვის ნება მისცა. ხელისუფლება კი თავისთვის დაიტოვა. ლენინი პრაქტიკოსი იყო და იგი რუსი ხალხის ფსიქოლოგიას ეყრდნობოდა, რომელმაც რეაასი წელიწადი ვარიანები აბატონა და ათი წლის სამოქალაქო ომის შემდეგ რომანოვებს მოუწოდა. რუსი ხალხი მონარქიულ სულზე და „ღვთის მოწყალებაზე“ იზრდებოდა. თებერვლის მეთაურები, რევოლუციის მეორე დღეს მას დემოკრატიული საზომით მიუტყდნენ და ამიტომაც დამარცხდნენ. ლენინმა კი კარგად იცოდა, რომ რუსი ხალხი პოლიტიკურ სრულწლოვანებას მოკლევ-

ბული იყო და ამიტომაც დემოკრატიულ მართვა-გამგეობის რუსულ ნაიდაგზე გადმონერგვაც შეუძლებელი. ჩვენ ამით არ ვამართლებთ ბოლშევიკურ ტირანობას, რომელმაც ხალხი კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩაავდო, ვიდრე ცარიზმის დროს იყო. იგი დღეს ტერორზე, შიშზე და სისხლზე იზრდება. ბოლშევიკურ ტირანიას იგი თავს დააღწევს, მაგრამ დემოკრატიულ წესწყობილებას კიდევ კარგა ხანს ვერ ეღივრება. საამისო მას არც კულტურა აქვს და არც პოლიტიკური სიმწიფე.

როდესაც ლენინი საფუძვლიანად დაეპატრონა ხელისუფლებას თავის განზრახვათა სისრულეში მოყვანას შეუდგა და ქვეყანა ვეებერთელა ექსპერიმენტალურ ლაბორატორიად აქცია. მისი „გენიალური“ ფორმულა: „ელექტროფიკაცია პლიუს ინდუსტრიალიზაცია უდრის სოციალიზმს“ — ხალხის თვალსაზრევად იყო გადმოსროლილი. ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კარგა ხანია მატერიალური კულტურა თავის განვითარების უმაღლეს მწვერვალამდე ასული, მაგრამ არც ერთ მათგანში ამის შედეგად სოციალიზმი არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, ლენინი მაინც თავის გრანდიოზულ ამოცანის განხორციელებას შეუდგა, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა მილიონ ადამიანთა სიცოცხლე. მაგრამ ადამიანი ზომ ბოლშევიკებისათვის ეს საშუალებაა, რომელსაც ისინი უყურებენ, როგორც მანქანას. ისინი თავიანთ „აღმშენებლობით“ მსოფლიოს აყრუებენ, მაგრამ საკითხავია: რა რისთვის არსებობს რუსეთში? ადამიანი აღმშენებლობისათვის, თუ პირიქით? შეიძლება, რაც გააშენეს, ისტორისათვის უნდათ, როგორც „სოციალისტურ“ კულტურის ძეგლები. მაგრამ რა ააგეს ამ „სოციალიზმის“ ქვეყანაში ისეთი ღირსშესანიშნავი, როგორიც სხვაგან, ადამიანს ყოველ ნაბიჯზე არა ხედებოდეს?!

ასეთმა მიზანმა განა შეიძლება გაამართლოს საშუალება, რომელსაც საფუძვლად მილიონ ადამიანთა სიცოცხლე ედება, ხოლო დანარჩენი მილიონები კი ოცი წლის მანძილზე შიმშილს, წყურვილს და სიშიშვლეს განიცდიან?

ადვილად წარმოსადგენია, თუ რას წარმოადგენს სამხედრო ღირებულების თვალსაზრისით დღევანდელი ცოცხალმკვდარი რუსეთი. შეუძლებელია პოლიტიკოსი რუსეთის იმპერიის მოსახლეობის რიცხვს ეყრდნობოდეს და არა ამ ხალხის ფსიქოლოგიურ განწყობილებასა და მხედრულ ვარგისობას. სპეციალისტების აზრით, დღეს ომის წარმატებით წარმოება მხოლოდ იმ ერს შეუძლია, რომელიც თავის ეკონომიურ და ტექნიკურ ძლიერებას ეყრდნობა. დღევანდელი ომი მთელი ეროვნული ენერჯის — კულტურულ ეკონომიურ

და აგრეთვე ხალხის სულიერ ძალთა განწყობილების გამოყენებას მოითხოვს. ამისათვის კი საჭიროა პოლიტიკურ და ეკონომიურ წინასწორობის პირობები. წითელ რუსეთს არც ერთი ამ პირობათაგანი არ გააჩნია. პირიქით, იგი დღეს მშვიდობიანობის დროსაც მოკლებულია ყოველგვარ ეკონომიურ და კულტურულ ნორმალურ განვითარების საშუალებას და მოსახლეობის ყოველდღიურ საჭირო მოთხოვნილებადაც ვერ აკმაყოფილებს. ტერორისტულ სისტემით მართვა-გამგეობის პირობებში, შეუძლებელია პოლიტიკურ წინასწორობის დამყარება. ისტორიას არ ახსოვს რომელიმე სახელმწიფოს ორ ფრონტზე, შიგნით და გარედ, ომი ეწარმოებინოს და გამარჯვება მოეპოვოს. საერთაშორისო გართულების დროს ბოლშევიკური რუსეთის დაცემას არა მარტო მისი განუვითარებელი ეკონომიკა და უჩვეულო პოლიტიკური რეჟიმი უწყობს ხელს, არამედ მისი დაშლისა და დაცემის ერთი მთავარი ფაქტორთაგანი, ველიკოროსულ იმპერიალიზმისადმი დაპირისპირებული დაპყრობილ ერთა ინტერესები იქნება, რომელიც ყოველ საშინაო თუ საგარეო გართულების დროს საკუთარ მიზნის რეალიზაციას შეეცდება. შორს რომ არ წავიდეთ, ეს ასე იყო 1905 წლის რევოლუციის დროს, ასე იყო უკანასკნელ ომის დროსაც, რომელმაც ბევრ დაპყრობილ ერს თავისუფლება მიანიჭა. ამას თვით რუსი სოციალისტებიც გრძნობდნენ, რომელიც რეჟიმს ებრძოდნენ, მაგრამ მთლიანი რუსეთის შენარჩუნებაში დაინტერესებული იყვნენ. ამიტომ როდესაც რუსეთის სოციალისტურმა პარტიებმა დაპყრობილ ერებში, რომელიც უკმაყოფილონი იყვნენ არა მარტო რეჟიმით, არამედ ეროვნული ჩაგვრითაც და მის ბატონობიდან თავის განთავისუფლებას სცდილობდნენ. რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს, „თვითგამორკვევას გამოყოფამდე“ ჰპირდებოდნენ. ეს ტაქტიკის საკითხი იყო. ამით მათ ერთი მხრივ ბრძოლაში დამხმარე ძალა უნდა მოეპოვებინათ და მეორე მხრივ სოციალისტური სამშობლო სურდათ დაეცვათ.

დაპყრობილ ერთა გავლენიანი წრეები და პარტიები დაინტერესებულნი იყვნენ ხელი შეეწყოთ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობისათვის. რადგან იგი მათ მიზანს ამართლებდა, ხოლო რევოლუციის შემდეგ ამ მოძრაობას ყველა გაემიჯნა და დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას შეუდგა.

რუსეთის ბატონობას დაპყრობილ ერთა ერთმა ნაწილმა თავი დააღწია და განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის მოსახლურ ერებმა. რომლის მოწინავე და სახელმწიფო ელემენტები უფრო ევროპიულ ნაციონალიზმისა და აზროვნების გავლენის ქვეშ იყვნენ. ვიდრე რუსეთის სოციალისტურ და რევოლუციურ მოძღვრების გა-

ელენის ქვეშ. მათი მიზანი ერის ხსნა იყო, ხოლო რუსული რევოლუცია და სოციალიზმი ერთ-ერთი საშუალებათაგანი. მეორე ნაწილში რომელნიც ევროპიდანუფრო დაშორებით იმყოფებოდნენ, სოციალისტური ელემენტები გამეფდნენ, რომელნიც სოციალიზმს რუსეთის რევოლუციურ ბარძიმში ეზიარენ. მათი მიზანი სოციალიზმი იყო და არა ერი. ყოველ ეროვნულ და პატრიოტულ ელემენტებს, როგორც ანტისოციალისტურ ძალას — ჩუმი სამოქალაქო ომი ჰქონდა გამოცხადებული. პატრიოტულ და ეროვნულ ელემენტთა დევნა და უნდობლობა, სახელმწიფოს ძლიერებას ვერ მოუპოვებდა; ის მას ასუსტებდა, საფრთხეში აგდებდა და სერიოზულ საშიშროების წინ კატასტროფით ემუქრებოდა. ბოლშევიკების კავკასიაში შემოჭრას, აზერბეიჯანის დაპყრობით, თვალეები უნდა აეხილა, საქართველოს ბედიღბლის მესვეურთათვის მოაჭლოვებულ საშიშროების წინ. მაგრამ ეს ცოტა იყო. დაიპყრეს სომხეთი, და საქართველო დაპირისპირებული აღმოჩნდა თავის ისტორიულ მტრისადმი — უჯაროდ და უიარაოდ. წითელი რუსეთი დადებულ ხელშეკრულების ძალით მეგობრულ სახელმწიფოდ იყო მიჩნეული; ამ „მეგობრულ“ ხელშეკრულების ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობაც დაეცა.

როგორც რუსეთის მენშევიკ - სოციალისტურ პარტიას, ისე მათ ძმებს ბოლშევიკებსაც „ერთა თვითგამორკვევა გამოყოფამდე“ ჰქონდა შეტანილი თავის პროგრამაში, რომელშიდაც წმინდა რუსული იმპერიალისტური ზრახვები იფარებოდა. მას ისეთივე სააგიტაციო და საპროპაგანდო ხასიათი ჰქონდა როგორც სხვა დანარჩენ მათ ლოზუნგებს და პრაქტიკაში უკუღმა ხორციელდებოდა. კიდევ მეტი, რუსეთის იმპერიის აღსადგენად, უკვე გამოყოფილ დამოუკიდებელ ერებს ზარბაზანი და ტყვია დაუშინეს და სისხლსა და ცეცხლში ჩაღრჩვეს.

როდესაც თებერვლის რევოლუციის საბოლოო კრისტალიზაცია ოქტომბერში მოხდა, გამარჯვებით თავბრუდასხმულმა ბოლშევიკებმა სულმოუთმენლად რუსულ იმპერიალისტურ გეგმის განხორციელებას მიჰყვეს ხელი, მართალია, ძველი რუსეთი ნაწილობრივ აღადგინეს, მაგრამ ამან ოდნავაც არ შეუწყო ხელი, თვით რეჟიმის განმტკიცებას და ტერორი საბოლოოდ დაკანონებულ იქმნა. ეს მდგომარეობა — თვით რუსის ხალხის ბრძოლა და უნდობლობას და სხვა და სხვა ეროვნულ ერთეულთა უკმაყოფილება — ყოველ საგარეო ვართულების დროს მათ დაღუპვით ემუქრება

ამასთან ერთად, წარსულ ისტორიულ მავალითიდან ისიც კარგად იცოდნენ, თუ როგორ დაირღვა თვითმპყრობელური რუსეთი.



სადაც, შორეულ პეტროგრადში ჯარი აჯანყდა, ნიკოლოზი გადა-  
 ადგეს და „სადაც“ შორეულ კავკასიაში, რუსის ჯარის ნაწილებმა,  
 კავკასია მიატოვეს და უწესრიგოდ შინისაკენ სასწრაფოდ გაეწუ-  
 რენ. ამნაირად, ვეებერთელა რუსეთის იმპერია ერთ დღეში დაიშა-  
 ლა. ამ ისტორიულ მაგალითს ბოლშევიკები ანგარიშს უწევენ და  
 მის ხელმეორედ განმეორებისაგან თავის დაზღვევას ცდილობენ.  
 ასეთ თავდასაზღვევ საშუალებად მათ „ეროვნული პოლიტიკა“ მი-  
 აჩნიათ. თავის „ეროვნულ პოლიტიკით“ შეიძლება ჩუვაშებისა და  
 ტუნგუსების გული მოიგონ და არა საქართველოსა და სხვების, რო-  
 მელთაც თავისი საკუთარი ეროვნული კულტურა და მრავალ საუ-  
 კუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია აქვთ. ბოლშევიკური „ერ-  
 ოვნული პოლიტიკა“ უფრო მათი ტაქტიკისა და სტრატეგიის გამო-  
 სახულებია, რომლითაც ისინი ცენტრში მოსალოდნელ კატასტრო-  
 ფის დროს, ზოგიერთ ეროვნულ ერთეულებში ბოლშევიკურ ხელის-  
 უფლების უზრუნველყოფას სცდილობენ. ამ მიზნით მოსკოვის  
 ბოლშევიკური შტაბი თავის პარტიის უერთგულეს წევრებს ნიშნავს  
 ეროვნულ ერთეულთა მმართველებად, რომელიც მოსკოვის შტაბის  
 უბრალო ფილიალია და ყოველ მის დირექტივებს ერთგულად ას-  
 რულებს.. ისინი კი ადგილობრივ ადგენენ და წრთენიან ჯარს, წი-  
 თელ პარტიულ ოფიცრებს, პოლიტიკურ პოლიციას, „ჩეკას“ და  
 მილიციას. აი ეს მოსკოვის წითელ სატრაპთა ის „მკვიდრი“ ფუძე  
 და აპარატი ეროვნულ ერთეულებში, რომელსაც უნდა დაეყრდ-  
 ნენ ომიანობის დროს, მოსალოდნელ შინაგან გადატრიალებისაგან  
 თავის დასაღწევად. ბოლშევიკურ სტრატეგიის თვალსაზრისით ასეთ  
 სისტემაზე აგებული რესპუბლიკები რაიმე გართულების დროს „შე-  
 საძლებელ“ რევოლუციის საწინაღმდეგო ციხე-სიმაგრეებია, რო-  
 მელიც ცენტრში, სადაც მოსკოვში მომხდარ, ბოლშევიკურ ხელის-  
 უფლების დამხობა, ვითომ დიდ ზიანს ვერ მიაყენებს ადგილობრივ  
 ბოლშევიკურ ხელისუფლებას, რომელსაც თავის საკუთარი „ერო-  
 ვნული“ აპარატი და წითელი არმია ჰყავს.

ბოლშევიკურ მოჩვენებით „ეროვნულ პოლიტიკას“ უნებლიეთ  
 ზოგი დადებითი შედეგებიც მოჰყვა: ერთის მხრივ ეროვნულ ერთე-  
 ულების მოსკოვიდან დანიშნულ მმართველ ჯგუფზე „გამზრუნე-  
 ლი“ გავლენა იქონია. მათ მოსკოვიდან დამოუკიდებელი „ეროვნულ-  
 ლი“ მართვა-გამგეობის სურვილი და მადა აღუძრათ და მის განსა-  
 ხორციელებლად ფარულ მუშაობას მიჰყვეს ხელი. აქედან წარმო-  
 იშვა ის ცრუ პატრიოტიზმი, რომელიც დღეს ბევრს რაღაც „პატრი-  
 ოტიზმის“ მსგავსი ჰგონია. მეორეს მხრივ კი მათ ასეთ პოლიტიკას,

ზოგიერთ განუვითარებელ ეროვნულ ერთეულებში უნებლიედ ეროვნულ სულიერ კულტურის გაძლიერება მოჰყვა, რომელსაც მომდევნო წერილში შევეხებით.

ვ. შუბლაძე

### ლოპტრინის ძიებაში \*)

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვენა ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ კაცთა მოგუცა ქუეყანა, გუაქვს უთვალავი ფერითა,  
და მისგან არს ყოვლი ზელმწიფე სახითა მის მიერითა.

შოთა რუსთაველი

#### I

ჩვენი სიცოცხლე მოკლეა. მსოფლიო მუდმივია და უსაზღვროდ დიდია. მსოფლიოს ისტორია რომ გავიგოთ და მისი კანონები შევიგნოთ, საჭიროა ავმადლდეთ ყოველდღიურ ამბებზე და დროსა და სივრცის გარეშე, ყოვლის მზილავი თვალით დავაკვირდეთ ჩვენს პლანეტას. მაშინ სანთურით განათებულ მოციმციმე შუქზე, წესიერად ცვალებად ფონზე ჩვენს თვალ წინ გაივლიან ყველა ის მოვლენები, რაც კაცობრიობას თავს გადახდა: ხალხთა დიდი აყრა - გადასახლება, ასობით იმპერიების გაჩენა, გაზრდა, აყვავება, დაცემა, და მათი დაღუპვაც. ერთი მეორის მომდევნო და შემცვლელი ომები და რევოლუციები. კულტურის და ცივილიზაციის გადაჯგუფება.

იქნებ ამისთვის ავიდა პრობლემა ღმერთებთან?!

ამისთვის ხომ არ დაგვაჯილდოვა ჩვენ ღმერთმა რუსთაველით?

\*\*\*

კავკასია, ეს არის — წყარო და ამავე დროს ცენტრი, რომლის გარშემო, — როგორც საათში ღერძის გარშემო ისარი ნიშნავს დრო-

\*) ბ-ნი ვახტანგ ციციშვილი თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკაზ“-ში. მაგრამ როცა ამ ჟურნალისა და მისი ხელმძღვანელის ბ. ჰ. ბამატის საქართველოსადმი მტრული განწყობილება გამოაშკარავდა, როგორც მოსალოდნელი იყო ყველა უანგარო მამულიშვილისაგან — ბ-ნი ვ. ციციშვილმა „კავკაზი“ს რედაქციას თავისი აღმწოდება აცნობა და მათთან თანამშრომლობა შესწყვიტა.

რედაქცია.

სა — ეწყობოდენ ცივილიზაციის ყველა კერები (ოჯახები): სუმერი, ელამი, ასსურეთი, ბაბილონი, ზეთა, კრეტა, ეგვიპტე, სპარსეთი, საბერძნეთი, რომი და ბიზანტია.

მკითხველს გააკვირვებს ეს მოსაზრება, მაგრამ, — განა საკვირველად არ გვეჩვენებოდენ ყველა ისინი, ვინც სრულიად მარტივს, მხოლოდ ზალხისათვის უჩვევ აზრებს გამოსთქვამდენ?

განა სისულელედ არ მიაჩნდათ ყველა ის, რაც შემდეგში სასწაულად იქცეოდა ხოლმე?

განა სამოთხედ არ იყო გაჩენილი ჩვენი ქვეყანა?

განა კავკასიონის მთები არ იყვნენ პრომეთის ობსერვატორია?

განა ჩვენი ქვეყანა არ იყო ის, სადაც ნოემ დარგო პირველი ყლორტი ვაზისა?

განა ჩვენი ქვეყანა არ იყო ის, საიდანაც ოზირისმა გადიტანა ხილის კულტურა ეგვიპტეში?

განა პასიფეი, კოლხიდის მეფის დაი, არ იყო ის, რომელიც მინოსმა ცოლად წაიყვანა?

განა ჩვენი ცირცეა — ეეთას მეორე დაი — არ იყო ის, რომელმაც კულტურა შეიტანა რომში?

განა ჩვენი მედეა არ იყო ის, იასონმა რომ წაიყვანა?

განა კავკასიაში არ მიეშურებოდა ალექსანდრე მაკედონელი და გზა აბნეულმა შემთხვევით ინდოეთი აღმოაჩინა, ისე როგორც 1400 წლის შემდეგ ინდოეთში მიმავალი ქრისტეფორე კოლუმბი შემთხვევით ამერიკას წააწყდა?

\*\*

კავკასია არის უზარმაზარი, ძლიერი და უკვდავი ხე, რომლის ფესვები გადგმულია შორს სიღრმეში: სპარსეთისა და წითელი ზღვების ნაპირებამდის, მესოპოტამიაში, სინაის მთამდე, კრიტში, ეგვიპტეში და რომლის ტოტები გადაშლილია შავსა და კასპიის ზღვებზე. სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ეპოქებში მის ფესვებზე და ტოტებზე სახლდებოდენ ყოველნაირი პარაზიტები, მაგრამ ესენი მოულოდნელად მალე ჰქრებოდენ, ისე როგორც მალე ჩნდებოდენ. ყვაილები და ნაყოფი ამ ხისა გაჰქონდათ მსოფლიოში, როგორც ღვთის ნაბოძები და ქებას, დიდებას და სიმდიდრეს აძლევდენ მას, ვის ხელშიაც მათ ხედავდენ.

ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია, ე. ი. ევროპული ცივილიზაცია, რომელიც ამ ჟამად საფრთხეს განიცდის, — ამ ხის წვენით მისი ნაყოფის და ყვაილების არომატი იკვებებოდა.

როგორც პელიოტროპია მუდამ მზისკენ მიმართული, ისე საქართველო, კავკასიის სული და გული, თითქოს უხილავი ძაფებით მუდამ იყო დაკავშირებული კაცობრიობის ცივილიზაციის ყველა ცენტრებთან. ბიზანტიის დაცემის შემდეგ, როცა ჩრდილოეთით გამოჩნდა მოსკოვი და თავნებობით გამოაცხადა თავისი თავი მესამე რომად, როგორც ცრუ და უნიადაგო მემკვიდრემ, მზნინ საქართველო შესცდა, ისე როგორც მზის ჩასვლის შემდეგ შეიძლება ხელოვნური სინათლით პელიოტროპის შეცდენა.

საქართველომ დაუჯერა ვერაჯ მოსკოვს ისე, როგორც „წითელ-ქუდა გოგომ“ მგელს; გულწრფელად ვაპყვა „ფსევდო-ქრისტიანულ ფსევდო-რომანოვთა დინასტიას“ სამსახურისათვის. თავის გულუბრყვილობით საქართველო კინალამ მთლად და სამუდამოდ დაიღუბა და გაითქვიფა უშველებელ „მუყიკთა ზღვაში“.

საბედნიეროდ ქართველობისა და კავკასიისა ხელოვნური (ყალბი) სინათლე მალე ჩააქრა, მოჩვენება გაიფანტა და დროებით სიბნელეში მყოფი კავკასია და საქართველო ხან დასავლეთით, ხან უნდობლოდ ისევ ჩრდილოეთით იცქირებიან და უცდიან დროს, როდის ამოვა ნამდვილი მზე, უნდათ გამოიციონ ადგილი მზის ამოსვლისა, ანდა — ვინ იცის? — თვით აღინთონ მუღმივი ცეცხლით და გააღვიონ იგი იმდენად, რომ გადაიქცნენ კიდევ კაცობრიობის სანთურად; თავიდან მოიცილონ, დასწვან, უამრავი პარაზიტები და წარსდგენ ქვეყნის წინაშე თავისი ბუნებრივი და თვალწარმატაცი მშენებებით.

\*\*

„როგორც ექიმმა, გამოცდილების მიხედვით, წინდაწინ უნდა დაინახოს სასაიდით გამხდარ ავთომყოფის სიცხის პერიოდები, ისე პოლიტიკოსმა წარსულის მიხედვით უნდა წინდაწინ გამოიცილოს მრმავალი“ (ლევონ დოდე). ერებს რომ უხელმძღვანელოთ და კაცობრიობას გზა უჩვენოთ, ამისათვის საჭიროა წარსულის ცოდნა, აწმყოს გაგება და ნიჭი გქონდეთ მომავლის წინასწარ წარმოადგენისა. ყველა ამისათვის ერთი ადამიანის სიცოცხლის მანძილი არ არის საკმარისი, რადგან მხოლოდ გრძნობებით და დროს მოთხოვნილებებით განსაზღვრა მისი — ნიშნავს სრულ უფიცობას იმ ვითარებისა, რასაც მსოფლიო მუდამ განიცდის.

დრო არის წარმოდგენა შედარებითი; ერის სიცოცხლის საზომად არ შეიძლება იყოს ერთი წელიწადი ან ათეული წლები, არამედ საუკუნოები და ათასეული წლები.

არის გავება მუდმივი და გავება დროებითი. ქეშმარიტება არის მუდმივი. ის, რაც დროებითია და გარდამავალი — არ შეიძლება იყოს ნადვილი.

მეტყობა მტე საუკუნის რევოლუციური მოძრაობები, ბედკრული „კლასთა ბრძოლა“, მთელი ეს ყალბი „მეცნიერული სოციალიზმი“ კარლ მარქსისა, ყველა ესენი არიან დროებითი მოვლენანი.

მიზანი მუდმივია და მისკენ გზის მითითება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც დროთა განმავლობაში განუსაზღვრელნი არიან: პრომეთე, მოსე, ბუდა, ქრისტე, მაჰმადი, რუსთაველი... მათ წინაშე რა საცოდავად პატარები (მართლაც რომ მიკრობები) სჩანან: დიდრო, ჟ. ჟ. რუსსო, ბაბეფი, კარლ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სხვა ტროცკისტანები. საკვირველი არაა, როცა ამათი „მეცნიერება“ (?) და ამათ მიერ მოსაზრებული და აზნებული სისტემა, როგორც კი შეეჯახა ერის ცხოვრების სინამდვილეს, მაშინვე დამარცხებულ იქმნა.

\*\*\*

ევროპული ცივილიზაცია წარმოიშვა აღმოსავლეთის და დასავლეთის ურთიერთ დამოკიდებულების გამო ანტიურ საზღვრებში. ეს ქვეყანა იყო ერთი მთლიანი ორგანიზმი, და როგორც ყოველ ცხოველყოფელ სხეულს სჭირდება წესიერი მოძრაობა სისხლისა, აგრეთვე მას სჭირდებოდა მუდმივი კავშირი და დამოკიდებულება ყველა მის ნაწილებთან; როგორც ყოველ სხეულს სწყყენს ყოველგვარი სიმსივნე და ხიჭკის შერქობა, ესევე იმ ქვეყანას დიდი მწუხარება მოუტანა ახალ ქვეყნების აღმოჩენამ და უცხო ხალხების შემოსვლამ.

კაცობრიობის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა მოვლენები მთელ ეპოქას ჰქმნიან. მე-15 საუკუნე იყო ერთი იშვიათი და ნამდვილი შემაბრუნებელი პუნქტი მსოფლიო ისტორიისა: ეს იყო აღმოსავლეთის და დასავლეთის კავშირის დარღვევა, რუსეთის და ოსმალეთის აღმოჩენა; ამერიკის პოვნა, ნამდვალ მიზეზი იმისა, რომ საფრანგეთმა მეთვრამეტე საუკუნეში ძველ ცივილიზაციას უღალატა და ყალბ გზაზე შედგა თვითონ და კაცობრიობაც შეათრია.

მეორედ შეიქმნება ჩავთვალთ ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების დუხჭირი ნეოცე საუკუნე (ცლა სწორ გზაზე დაბრუნებისა...)

მსოფლიო მუდამ ორად იყოფოდა ისე, როგორც დღე და ღამე, ესეა: სინათლე და სიბნელე, სიცოცხლე და სიკვდილი, სიკეთე და



სიბოროტე, შემოქმედება და დანგრევა, შრომა და პარაზიტობა, და სხვა და სხვა. ბუნებრივია, რომ კაცობრიობაც ორად იყოფა, თუნდაც იმიტომ რომ არიან ძველი ერები, რომლებსაც მემკვიდრეობით აქვთ მიღებული კაცობრიობის მიერ გავლილი ცივილიზაცია და არიან ერები, რომელნიც მხოლოდ ეხლახან გამოვიდნენ ისტორიას აპარეზზე. პირველნი ლოდიკურად არიან დამცველნი ბრძენი წინაპრების სულიერი სიმდიდრისა და წმინდა ადათ-ჩვეულებებისა. მეორენი კი, — როგორც უდიპლომა ინჟინერი — უარს ჰყოფენ პირველის ცივილიზაციის ღირებულებებს და ყოველ ღონისძიებას ხზარობენ დაშალონ და დაანგრიონ ის, რაც ძველს მოგვაგონებს და თავი წარმოუდგენიათ ახალი ქვეყნის შემქნელად.

ასე სწერს რუსი პოეტი, კისილოვი:

„ხვალინდელ დღისა გულისად — დავსწვათ რაფაელი, დავაქციოთ მუზეუმები, გავთელოთ ხელოვნება და ყვავილები“ — აგრეთვე ყველას მოაგონდება სიმღერა „ოქროს საწოლის“ შესახებ, რომელიც, ვგონებ, ასე თავდება:

„მთელი მსოფლიო სასჯელით შედრკება,

და თვით სატანაც კი შეძრწუნდება“...

როგორც იაკ. ჩაადაევი ამბობს: „რუსები ბუნებაში გაჩნდნენ, როგორც უკანონო შვილები“, და აქედან გაჩნდა ჯერ მეცხრამეტე საუკუნის „ნილილიზმის“ და შემდეგ მეოცე საუკუნეში მისი კანონიერი მემკვიდრის „ბოლშევიზმის“ წყარო. ერთიც და მეორეც გამოწვეულია შურით და გაბოროტებით, რაც განსახიერებელია პირველქმნილ კულტურულ უფლებების უარყოფაში, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ ასეთი უფლებების წამოყენება.

\*\*\*

არც ერთ ერს არ შეუძლია აყვავება და არსებობა გარეშე კანონებისა და ადათ-ჩვეულებებისა, რაითაც იგი არის შექმნილი. ადათ-ჩვეულება (ტრადიცია) არის ის, რაც საუკუნოებით მკვიდრდებოდა ერში. შეცდომები და სისულელეები არ გადაიქცევიან ადათ-ჩვეულებად. განა რომელმა სხვა ზალხმა შეინარჩუნა ათასი წლობით არა თუ თავისი ტიპი, ენა, სიმღერა, არამედ ცოცხალი მოგონებანი თავიანთი დიდებული წინაპრებისა? თამარ მეფის და შოთა რუსთაველის სული დღემდის აღფრთოვანებს ქართველ პატრიოტებს. კავკასიის ზეობებში დღემდის ისმის მზისა, მთვარისა და მნათობთა ჰიმნები, რომელნიც არ ერევიან 1500-წლოვან ქრისტიანული სარწმუნოების სიმღერა-საგალობლებს, ისე როგორც მრავალ საუკუნოვან კავკასიონის მთებს თვისება აქვთ მუდამ მკაფიოდ გა-

მოსახონ ხმის სრბოლა და დაიცვან ცალ-ცალკე უცვლელ შთამომავლობის ყოველი ცვალებადი ბგერა.

\*\*

„მუდმივმა, დაუსრულებელმა, უბრძენესმა და უკეთილესმა ღმერთმა შექმნა დროსა და სივრცეში შეუზღუდველი მსოფილო; მსოფლიო თვით არსებაში განასახიერებს ღვთის განუსაზღვრელ თვისებებს და წარმოადგენს დაუსრულებელ სხვადასხვაობას. მსოფლიო არის შენობა, კოსმოსი, რომელშიაც ყოველი არსება მოქმედობს თანახმად თავისი ბუნებისა და აქვს მას განსაკუთრებული დანიშნულება“. — განა რა არის ეს?.. ეს ხომ არ არის პროზით გამოთქმული შოთა რუსთაველი?

არა! ეს არის მუდმივი ქეშმარიტება, გამოთქმული ჯონ ლოკ — ომის მიერ მეთვრამეტე საუკუნეში. ამრიგად პრომეთედან მიყოლებული — პლატომდე, პლატოდან — რუსთაველამდე, რუსთაველიდან — ლოკამდე და ლოკიდან ჩვენამდე ქეშმარიტება ერთი და იგივეა.

ვახტანგ ციციშვილი

ბორდო, ნოემბერი, 1937 წ.

## V ემიგრაციაში მყოფ ქართველ მამაკაცთ

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,

კურთხევა თქვენდა, ტკბილ - სახსოვარნო!“.

ნ. ბარათაშვილი

ქართველ დედაკაცს, რომლის მნიშვნელობა ისტორიული უდიდესია; რომელსაც აქვს წარსული დაუშრეტელი; აწმყო ტანჯული, თქვენს გვერდით, თქვენს მხარში მდგომს და მომავალი თქვენთან თანასწორი იმ დიდ დავალებაში, რომელიც შეეწირების ქეშმარიტ მამულისშვილს!

იმ ქართველ დედაკაცს, რომელმაც შეინახა და დღემდის მოიტანა ქართული კერა; რომლის ძუძუმ და სიღარბაისლემ აღზარდა ისტორიული გმირები, მეცნიერები, ხელოვანები, მოწინავე პირები — მთელი თაობანი...

ქართველ დედაკაცს, რომელიც აქაც, დევნილობაში სამშობლო კერას მოწყვეტილი, სხვათა ქვეყანაში ვიდგიათ მხარში და თქვენზე უფრო ქედგამართული ქაპანს ეწევა!



ქართველ დედაკაცს, რომელიც წარბეჭეხრელი, შრომობს და უნდა ითქვას სიმართლე, ბევრ მამაკაცზე მეტს შრომობს ფიზიკურად და უამრავ შემთხვევაში ინახავს ოჯახს!

ქართველ დედაკაცს, რომელიც ლტოლვილებაშიც სუფთად და შეუგინებლად ატარებს მანდილს და ამით გაძლევთ საშუალებას თქვენ იამაყოთ მისი მამულისშვილური შეგნებით და თავადებით; თავმდაბალი სათნოებით და კრინტდაუძვრელი დიდკაცური მოთმინებით! ასეთს (რომელი ერთი ღირსება ჩამოვთვალო), ასეთს ქართველ დედაკაცს ეწვია უბედურება! უბედურება უმაგალითო, უჩვევი და დაუშსახურებელი; მას ეწოდა (მდაბალი ბოდიში კადნიერებისათვის და უკაცრავლი პასუხია) „ძუენა ძაღლი“ (სუკა) და „შეძავი ქალი“ (პროსტიტუტკა)!.

და თქვენ, უამრავ მამაკაცთა შორის, არ აღმოჩნდა არცერთი, რომელსაც, ამ მოქნეული სიბინძურისათვის, ხელი მაინც აეჭნიათ! მე არა მსურს შეგებო არსებითად წიგნს, რომელშიაც დაიწერა ეს შეგინება! .. შეგინება პირველნობილი ქეშმარიტ რუსულ ყაზარმაში და შემოტანილი ჩვენს ქვეყანაში ამ ყაზარმების „ფელდფებელების“ მიერ!

მით უფრო არა მსურს შეგებო არსებითად დამწერს. დმერთმა შესაფერი მშვიდობა მისცეს მას!

მხოლოდ თქვენ მამულისშვილნო, ძმებო და შვილებო!

თუ თქვენზე სუსტი დედაკაცის გამოსარჩილების ძველებური, ჩვენებური უნარი აღარა გაქვთ შენარჩუნებული, ნუ თუ ვერ შესძელით ის მაინც, რომ ჩვენთვის უბრალო თანაგრძნობა და სინანული გებრძანებინათ?!

ეს ჩვენ გაგვითამამებდა და მოვცემდა იმედს კვლავაც მამაკაცი მიგვეჩნია სალ კლდეთ და დედა ბოძად.

თუმცა!... ან კი რა გავიკვიროთ!

იქ, საცა ქართველი მამულისშვილების დიდი უმრავლესობა დღემლით ისმენს ქაქუცას ბრუნდათ ხსენებას!

იქ, ვიმეორებ, საცა ქართველი მხედრობის ზედა ფენები „კავკაზ“-ის ფურცლებზე აღბეჭდავს განაჩენად „ბოიკოტს“ (სიტყვასა და მოქმედებას, შემოღებულს ჩვენში „დებოს“ მუშების მიერ!...);

იქ, სადაც ქართველი მხედრობა იღუმალით ისმენს მთავარ სარდალის დაუშსახურებელს და შეუფერებელ შეურაცხყობას; იმ მთავარ სარდალისას, რომელსაც ბედმა თუ უბედობამ არგუნა და მიანიჭა ხელთ პყრობოდა დაფლეთილი, მრავალ საუკუნოების, მრავალ ტანჯული ჩვენი დროშა?!

სჩანს, რომ ჩვენც, ცრემლიანი თვალით უნდა უცქიროთ და

ვისმინოთ, როცა ქართველ დედაკაცს ეწოდების ძუენა და მეძავი! რაიცა შეგნება ყოვლად პატივცემულ ქეშმარიტ ქართველ დედაკაცს, რომელსაც პირადათ ეწოდა „ძუენა“ და სხვა ... მე არ ვიქონიებ კადნიერ სითამამეს ხეხაწმენდა დაუწყო სახელს ამ ყოვლად დარბაისელი დეუფლისას, რომელმაც ატარა და ღრმა მოხუცებამდის სიწმინდით მიიტანა ფიქალი ლეჩაქი და მანდილი. და ზედმეტად მიმაჩნია გამოვესარჩლო იმ ორ დედაკაცს, რომელთაც დარბაისელი და შეგნებული ნაწილი ქართული ფართე საზოგადოებისა იცნობს, როგორც მაღალი ზნეობის დედაკაცებს და უმიზნოდ მიმაჩნია ვარწმუნო უგუნურები, რომ ისინი არა ბრძანდებიან „პროსტიტუტკები“!

თქვენ კი ემიგრაციაში მყოფ ქართველ დედაკაცთ, განუჩევლად ხნოვანებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური მიმართულებისა, მოგიწოდებთ შევეკრათ პირი, და ვატაროთ ვულში აი შფოთება და საყვედური მანამ, სანამ ის არ შეინანებს თავის შეცდომას. „შეცდომას“, ვამბობ მე, დაჟინებით, რადგან მე არ მინდა და მეთაკილება ვიგულისხმო და მეგულეზოდეს ისეთი ქართველი მამაკაცი, რომელიც შეაგინებს შეგნებულად ქართველ დედაკაცს, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს მამაკაცი მამულისშვილობს და ვაჟკაცობს!

ნინო დალიანი



### ინანიჩარის მოკრალი

ბ-ნმა შ. ამირეჯიბმა ირ. ცაგურიას უმსგავსოებას პასუხი გასცა! წავიკითხეთ ეს პასუხი და ბ-ნი ამირეჯიბი შეგვებრალა. ხუმრობა ხომ არ არის 50 წლის ადიაანი თავის თავს საზოგადო მოღვაწედ სთვლიდეს და ერთბაშად იძულებული გახდეს საზოგადოება არწმუნოს, რომ ქურდი და ყაჩაღი არასოდეს ყოფილა!

უზნეო მოვლენათა შესაფასებლად ჩვენ არა გვაქვს ორი საზომი. ამორალური საქციელი ჩვენგან მუდამ იქნება გამობილი, მიუხედავად ავტორის ვინაობისა. მაგრამ არც ის არის მოსაწონი, რომ თავის გასამართლებლად სხვის ზურგს ამოეფარო. რად დასჭირდა ბ-ნ ამირეჯიბს ცაგურიასთან პოლემიკაში ივანე ჯავახიშვილის ხსენება? ვისთვის არის სასარგებლო, რომ ეს საბატიო სახელი ემიგრანტულ ფურცლებზე საჭოროოდ გადაიქცეს?!

ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ ლექის ჟურნალში დიდი ქართველის ხსენებამ ბ-ნ ამირეჯიბს პატიოსნების სიგელად არგოს. და თუ ეს



უტაქტობა სიბრაზისაგან გაბოროტებას მიეწერება, სრულიად აუ-  
სხსელია ბ-ნი ამირეჯიბის მეორე შეცდომა. თავის პერსონის დაც-  
ვით გატაცებული, უღუნანაშაულოდ წამებულის\* პოზას ქებნაში,  
ის ივიწყებს ქართველი მამულიშვილის მოვალეობა. -- უპასუხოდ  
სტოვებს საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცას პეურაცყოფას!

ჩვენ დღემდე გვეგონა, რომ ეროვნული გმირია წმიდა სახელის  
დაცვა საეკლდებულო იყო თვითეული ქართველისთვის. ქაქუცა ხომ  
ჩვენი ისტორიის ერთი ეპოქის განსახიერებაა, შელახული ქართული  
ეროვნული ღირსების აღდგენისათვის მებრძოლთა მედროვე - მე-  
თაურია, ამიტომ მისი სახელის პატივისცემა ჩვენი ერის ახლო წარ-  
სულის პატივისცემაა; რუსეთის წინააღმდეგ ვადახდილი ბრძოლე-  
ბისა და ამ ბრძოლებში დაცემულთა ბსოვნის პატივისცემაა: ქა-  
ქუცა საქართველოს ლეგენდარული სიმბნე-რანდობისა და ეროვ-  
ნული იდეალებისთვის თავდადების უკვდავი სიმბოლოა! ამიტომ ქარ-  
თველი მამულიშვილი მოწიწებით ივსება მისი სახელის მოგონება-  
ზე და ვით ქეშმარიტი მართლ-მორწმუნე უპასუხოდ ვერ დასტოვებს  
რელიგიური კულტის შებღალვას, ისე ქართველიც ქაქუცას სახელს  
დაიცავს. ბ-ნი ამირეჯიბი თავის პასუხში ამ საკითხს ცალი-ყბით  
და სხვათა შორის ეხება. სამაგიეროდ ის საფუძვლიანად აგვიწერს  
თავის ოჯახიშვილობას და საზოგადოებას აუერებს, რომ მუდამ  
„რიგიანი სახელი“ ჰქონია.

ცაგურიას წიგნაკთან დაკავშირებით ბ-ნი ამირეჯიბი იგონებს  
ქორდანია-რამიშვილის წერილებს და ამბობს: „რაც ემიგრაციაში  
წამიკითხავს ან გამიგონია, მას (ე. ი. ცაგურიას წიგნაკს) მხოლოდ  
ქორდანიას „აბესალომისადმი“ მიწერილი წერილი თუ შეედრებაო“.  
ანალოგია მართლაც დამაფიქრებელია; ძნელია უფრო მონათესავე  
თხზულებათა მონახვა.

ამ წერილებმა თავის დროზე საზარელი შთაბეჭდილება მოახ-  
დინეს. მთელი მოწინავე ქართველობა ემიგრაციაში და საქართვე-  
ლოში გულის სიღრმემდე აღაშფოთა წერილების ავტორთა უზნეო  
საქციელმა, მაგრამ როგორ შეაფასა ბ-ნმა ამირეჯიბმა მაშინ ეს  
აკტი და როგორ მოიქცა, როცა ეს წერილები გამოქვეყნდა?

ბ-ნი ამირეჯიბი მაშინ მენშევიკურ ფრონტში ბრძანდებოდა  
ფეხმოკეცილი, ამ წერილების ავტორთა გვერდით. ქორდანია - რა-  
მიშვილის ინსტრუქციებში შეგინებული იყვნენ ყველა ღირსეული  
ქართველი მოღვაწე და მამულიშვილნი: **ლენ. გ. კვინიტაძე**, ქაქ  
ჩოლოყაშვილი, სპ. კელია, და სხვები და როცა აღელვებული სა-  
ზოგადოების მოთხოვნით ნ. ქორდანიას ფრონტმა ამ საკითხზე  
მსჯელობა გამართა, ბ-ნმა ამირეჯიბმა ნ. ქორდანია დაიცვა!

ინტერესს მოკლებული არ იქნება საზოგადოებას მოვავგონოთ ნ. ჟორდანიას ფრონტში ამ საკითხზე ერთხმად მიღებული დადგენილება: „შეერთებული სხდომა მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენლებისა იზიარებს საერთო პილიტიკურ ხაზს, რომელიც გატარებულია ბ-ნ ნ. ჟორდანიას წერილში; (ხაზი ჩვენია.) ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ თუ გამოქვეყნებულ წერილებში არის ვინმესადმი უმართებულო მოქცევა, რაიცა იწვევს პროტესტებს, ამ საკითხის ამოსაწურავად მიღებულ უნდა იქნეს ერთად-ერთი საშუალებად ის. რაიცა შემოდებულია ყველა კულტურულ წრეებში — სამქედიატორო სასამართლო ან პარტიათა წარმომადგენლების შერეული კომისია, რომელიც ადადგენს სიმართლეს და მისცემს დაკმაყოფილებას, ვისაც თავი შეურაცყოფილად მიიჩნია“—ო. ამ დადგენილებას, რომ თვალთმაქცური ლათაიები ჩამოვაშოროთ, დედა აზრის მიხედვით, ჩოლოყაშვილ-კეღია-კვინიტაძეს სამართალი იმავე ნ. ჟორდანიასათვის უნდა ეთხოვათ! ამ ცინიკურ დოკუმენტს ხელს აწერს ბ-ნი შალვა ამირეჯიბიცი!

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ფრონტში თანამშრომლობა ბ-ნ ამირეჯიბს აიძულებდა საკუთარი გაცემის წინააღმდეგ წასულიყო? ასეთი ახსნა შემცდარი იქნება. ფრონტში თანამშრომლობდა მაშინ ბ-ნი დავით ვაჩნაძეც, მაგრამ ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია ქართველი ემიგრაციის საპროტესტო მიტინგზე სიტყვა წარმოეთქვა და ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკა ენერგიულად დაეგმო.

ბ-ნი ამირეჯიბი მაშინ ნ. ჟორდანიას დავით აღმაშენებელთან შედარებით ერთობოდა და ჩოლოყაშვილ-კვინიტაძეს დაცვა ზედმეტად მიაჩნდა!

ერთის შეხედვით გასაკვირია: ბ-ნი ამირეჯიბი მეორედ გაურბის ქართველის მოვალეობას — ქაქუცას სახელი დაიცვას!

ფ. ალიაშვილი



## ქართველები ფრანგულ ჯარში

ქართველებს სამხედრო ბეგარის მოსახდელად ფრანგულ ჯარში იწვევენ. პარიზის ქართული კოლონიის წევრებიდან გაიწვიეს და ეს ერთი თვეა ფრანგულ რეგულიარულ ჯარის სხვა და სხვა ნაწილებში იმყოფებიან: არჩილ დადიანი, გიორგი ფაშალიშვილი,

ლადო დარაშვილი და ძმები: მიხეილ და ბორის მიმინოშვილები. გარდა ამისა, გაწვეულ იქმნენ რამდენიმე კაცი პროვინციებში მცხოვრებ ქართველებიდან.

ეს უკვე მომხდარი ამბავია და არა შესაძლებლობის დაშვება. ამიტომ ჩვენ გვინდა ქართველი საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ ჩვენთვის პირველხარისხოვან საკითხს. სამხედრო სამინისტროს ბრძანებაში ნათქვამია: „სრულიად სამართლიანია, რომ საფრანგეთში დაბინავებული ის პირები, რომლებიც ვერ დაამტკიცებენ, რომ არიან ქვეშევრდომნი ამა თუ იმ ქვეყნისა და არ იხდიან სამხედრო ბეგარას ამა თუ იმ სახელმწიფოში და ამავე დროს სარგებლობენ საფრანგეთის სტუმართმოყვარეობით, მოვალენი იყვნენ იმსახურონ მათი მეორე სამშობლოს დროშის ქვეშ“ („პატრი დ'ადოპციონ“).

ამ ბრძანების თანახმად იწვევენ ჯარში რუსებსა და საერთოდ ყველა „აპატრიდებს“. ჩვენი საქმე არ არის ფრანგული კანონების გარჩევა, მაგრამ, რამდენადაც ეს კანონი დღემდე ქართველებზედაც ვრცელდება, უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი ემიგრანტის, რუს აპატრიდებთან გათანაბრება აშკარა შეცდომაა. თვით რუსის ხალხის მიერ დამყარებული წყობილებისაგან გამოქცეულ ემიგრანტებისა და უცხო ძალით ქვეყნიდან განდევნილ ქართველების ერთ კატეგორიაში მოქცევა საკითხის ზერელედ შესწავლის შედეგია. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა დროებითად არის მიჩნეული ყველა ქვეყნებში და უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველობას საქართველოს ქვეშევრდომობას ვერაინ წაართმევს.

მაგრამ საფრანგეთის სტუმართმოყვარეობასა და გულუხვობა რომ ჩვენთვის განსაზღვრული მოვალეობანიც დაეკისრებინა, ესეც ბუნებრივია. მხოლოდ საკითხავია, რა უპირატესობას გვანიჭებს ქართველებს სამხედრო ბეგარის მოხდა? ქვეყნის წინაშე მოვალეობის მოხდის საკითხში ფრანგ მოქალაქესთან გათანასწორება თუ არ გვანიჭებს ფრანგი მოქალაქის უფლებებს, გვაძლევს თუ არა რაიმე უპირატესობას უცხოელის დღევანდელ სტატუტთან შედარებით? ეს საკითხი სამხედრო სამინისტროს ცირკულიარში გამოუჩვენებელია.

კერძო შემთხვევებში მიცემული განმარტებებიდან სჩანს, რომ ამ მხრივ რაიმე გაუმჯობესებას არ უნდა ველოდეთ. უკვე გაწვეულ ჩვენს მეგობრებს რჩევას აძლევენ ალძრან შუამდგომლობა ფრანგის ქვეშევრდომობის მისაღებად და სამხედრო ბეგარის მოხდა ნატურალიზაციას გავიადვილებთ.

მაშასადამე, ფრანგებთან ვთანასწორდებით მარტო მოვალეო-

ბის მოსახდელად. ამ არაანორმალურ მდგომარეობას საჭიროა ქართულმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს. პირველ რიგში სათანადო ნაბიჯები უნდა გადასდგან ემიგრაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა. ჩვენ ველით მათ განმარტებას.

შ. კელევანიშვილი



## წერილი რედაქციის მიმართ

ქართული „შეგარდენი“ პარიზში.

ამ ორი წლის წინად პარიზის ქართული ტანთვარჯიშობის საზოგადოება „შეგარდენ“-თან დაარსებულ იქმნა კარვედის (კამპინგის) სექცია, რომლის მიზანი არის იზრუნოს მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდა - განვითარებისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ემიგრაციის ნივთიერ სილატაკესა და ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდობის მდგომარეობას, ნათელი იქნება მათ ჯანმთელობაზე საერთო ძალებით ზრუნვის საჭიროება. ვინ არ იცის პარიზის ჰაერის სუნთქვა მთელი წლების განმავლობაში, რა დამღუპველია, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდებისათვის. ამიტომ გადავწყვიტეთ საკუთარი ძალებით საჭირო თანხის მოპოვება, იმ იმედით, რომ ქართველი კოლონია ცამოეზმაურებოდა ამ ფრიად კეთილ საქმეს. ორი წლის განმავლობაში გამართული საღამოებიდან და შემოწირულებიდან დავაგროვეთ მეტად მცირე თანხა, და რა თქმა უნდა, კარვედის შეძენა და ათი კაცის (როგორც გადაწყვეტილი გვქონდა) დასასვენებლად გაგზავნა, ვერ მოხერხდა. ამიტომ ამ ზაფხულს დავკმაყოფილდით კარვის ქირაობით და ხუთი ახალგაზრდის ერთი თვით ზღვის პირას გაგზავნით. ამ ჯგუფში შევიდნენ როგორც წევრები, ისე არა წევრებიც ჩვენი ამ საზოგადოებისა.

— ა. ციციშვილი, თ. თაქთაქიშვილი, ვ. ჯიბლაძე, დ. ჯაფარიძე და კარვის ხელმძღვანელი - მწრთენელი ვ. ბარკალაია, რამაც ფრიად სასურველი შედეგები მოგვცა და მომავლის იმედებით აღგვივსოგული. ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ვიფიქროთ მომავალზე, რათა შევსძლოთ აღმოუჩინოთ ყოველ - წლიური დახმარება იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომელნიც ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან.

იმედი გვაქვს, ქართული კოლონია მეტს ყურადღებას და ინტერესს გამოიჩენს ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში.

## შემოსავალ - გასავლის ანგარიშები

მოწყობილი ათი საღამოდან შემოვიდა:	2.550 — 50
შემოწირულება: პარიზის ქართულ ახალ. კულტურული წრისაგან:	200. — 00
ბ. ბ. ივ. ანდრონიკაშვილი	100. —
გ. ნოზაძე	100. —
ვ. ბარკალაია	100. —
სულ შემოვიდა:	3.050. — 60

გასავალი:

ბ-ნ ექვ. თაყაიშვილის წიგნის ფონდისათვის	200. —
ამ წლის აგვისტოს მოწყობილი კარვედისათვის	2150 — 00
სულ:	2.350 — 00

მასასაღამე, ამ უამად საღაროში არის: 700 ფრ.

დასასრულს, უდრმეს მადლობას ვუძღვნით ყველა იმ პირთ, ვინც ამ საქმეში სხვადასხვა სახით დაგვეხმარა. ასლი ამ მოწოდებისა ეგზავნება ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს დასახეულად.

პატივისცემით პარიზის „შეფარდენ“-თან კარვედის სექციის გამგეობა

ცნობებისათვის: *Mme L. Nosadzé* 26, rue Lacretable  
Paris 15<sup>e</sup>



## საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის

საზოგადო კრების დადგენილებით ყველა ქართულ გამოცემებს ეთხოვა გამოაქვეყნონ ჟურნალ „კავკაზ“-ის ანტიქართული გამოლაშქრების გამო პარიზში მოწყობილ საპროტესტო კრების დადგენილება. თანახმად ამ მომართვისა ვათავსებთ კრების რეზოლუციას:

რ ე ღ .

„1937 წლის დეკემბრის 4-ს შემდგარი პარიზის ქართველთა საზოგადოების მრავალრიცხოვანი კრება საქართველოს ტერიტორიის საზღვრების თაობაზე, ადგენს:

„კრება აღშფოთებულია ჟურნალ „კავკაზ“-ის და მისი თანამშრომლების მიერ ქართული ტერიტორიის გაცემის მისწრაფებითა და ჭიდაგებით, მით უმეტეს, რომ ასეთი გაცემა ბ, ბამატის ჟურნალ „კავკაზ“-ის ქართველ თანამშრომელთაგანაც გამოდის.

„კრება განსაკუთრებლად მიუღებლად სთვლის იმას, რომ ამ მწერლების აზრით, თითქოს საქართველომ საბოლოოდ უნდა ხელი

ილოს ჩვენს ქვეყანაში შემოსული, მოსკოვის ბოლშევიკურ ხელისუფლების მიერ ყარსის ხელშეკრულებით გაცემულ უდავო ქართულ მიწაწყალზე, და რომ თვით ამ ხელშეკრულებით საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ბათუმის და მის ოლქსაც ახალი დათმობებისა და საექვეო კომბინაციების საგნად აცხადებენ.

„ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და საქართველოს პასუხისმგებელმა ორგანოებმა 1921 წელსავე ენერგიული პროტესტი განაცხადეს ეგრედ წოდებული ყარსის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლითაც საქართველოს ტერიტორია იქნა გაცემული.

„ბ. ბამატის „კავკაზ“-ში მოკალათებულ ორიოდე ქართველ თანამშრომელისაგან საქართველოს მიწაწყალზე ასე იოლად ხელის ალება გამოწვეულია იმ ყალბი და სრულიად მიუღებელი, ვითომდა საქმიანი ზაზით, რომლითაც, ნივთიერი თუ სხვა მოსაზრებებით, ქართულ პოლიტიკურ აზრსა და ინტერესებს უქვემდებარებენ საქართველოსათვის საზიანო, უცხო პოლიტიკურ მიზნებსა და ინტერესებს.

„ასეთი პოლიტიკიდან ჩვენ მივიღეთ გაუგონარი და დაუჯერებელი ბოროტება: ცდა ქართული ტერიტორიის გაჩუქებისა თუ გაყიდვისა.

„კრება მიმართულებათა და დაჯგუფებათა განურჩევლად ერთხმად აცხადებს, რომ ქართველი ერი ერთსულოვნად და ურყევად სდგას თავისი ტერიტორიალური მთლიანობის ნიადაგზე და არავის მისი დარიგება - დანაწილების უფლებას არ აძლევს.

„კრება აცხადებს, რომ ქართველი ერი დიდათ აფასებს თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილ - მეზობლურ განწყობილებას და ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაც ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს, ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტა ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის, მეგობრული და მშვიდობიანი გზითა და საშუალებით იქნება შესაძლებელი“.

პარიზი, 1937 წ. დეკემბრის 4.

ქართველ საზოგადოებას ვაუწყებთ, რომ ამა წლის დეკემბრის 12-ს ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე

**ს ი მ ო ს (სოსიკო) მ ღ ი ვ ა ნ ი .**

„ახალი ივერია“ს რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და მის მეგობრებს.